შპს
„სტუგრუპი“

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ. N 4-ში შპს „ჯეომილი“-ს
კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი
(მოპი)

თბილისი 2023 წ.

შპს
„სტუგრუპი“

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ. N 4-ში შპს „ჯეომილი“-ს
კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი
(მ ო პ ი)



დირექტორი ტ. სტურუა

ორგ. პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2023 წ.

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

ა. განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. მშენებლობის დახასიათება

III. მშენებლობის ხანგრძლივობა

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები

V. სამუშაოთა წარმოების ძირითადი მეთოდები

VI. მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. მშენებლობის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

ბ. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

გ. გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ - „ სამშენებლო გენგეგმა; სამონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ. N 4-ში შპს „ჯეომილი“-ს კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქციის „მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შპს „სტუგრუპი“-ს მიერ.

„მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია მუშა პროექტის მასალების საფუძველზე, შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების თანახმად:

1.სნდაწ **3.01.01-85*** - "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"

2.სნდაწ **1.04.03-85** – "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"

3.სნდაწ **3.02.01-87** – "მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები".

4.სნდაწ **III-4-80*** -„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში."

5.ტექნიკური რეგლამენტი – "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ"

6.ტექნიკური რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"

7.ტექნიკური რეგლამენტი-„სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“

8. საქართველოს მთავრობის **2019** წლის **31** მაისის დადგენილება **N 255**

9. სხვა ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტაცია.

სნდაწ **3.01.01.-85***-ის მოთხოვნის თანახმად, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტი“. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული „ სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე.

II. მშენებლობის დახასიათება

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ.N 4-ში მდებარე შპს „ჯეომილი“-ს კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს 01 მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობას პკ 0+00- დან პკ 0+47,54 -მდე, მათ შორის დაუცველი სარკინიგზო გადასასვლელის ჩათვლით.

01 მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგის მთლიანი სიგრძე შეადგენს 47, 54 მ-ს, მათ შორის დაუცველი სარკინიგზო გადასასვლელის სიგრძე- 12,0 მ.

დაუცველი სარკინიგზო გადასასვლელი ეწყობა ჭირნახულის ქუჩის გადაკვეთით, პკ 0+0,00 -დან ჭირნახულის ქუჩის მარჯვენა გვერდულამდე (ტროტუარი შპს „ჯეომილი“-ს მხარეს) .

დაუცველი სარკინიგზო გადასასვლელის სიგრძე (ჭირნახულის ქუჩის სავალი ნაწილის სიგანე) შეადგენს 12,0 მეტრს, ხოლო დანარჩენი სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის (შპს „ჯეომილი“-ს ტერიტორიაზე) სიგრძე შეადგენს 35,54 მეტრს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ლიანდაგის ბოლოს (პკ 0+47,54) სარელსო მისაბრჯენის მოწყობას და ჩამგდები კალმის მოწყობას (პკ 0+38,23).

01 მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგი არ იკავებს სასოფლო-სამეურნეო მიწას.

ლიანდაგის დანიშნულებაა მშრალი ტვირთების დაცლა-დატვირთვა-გატარება.

01 მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები ითვალისწინებს:

1) ასფალტის ძველი ფენის აყრას (ჭირნახულის ქუჩაზე); მიწის ვაკისის მოწყობას.

2) ლიანდაგის დაგებას და დაბალასტებას(ლიანდაგი ეწყობა ხის შპალებზე). ასფალტის ახალი ფენის მოწყობას (ჭირნახულის ქუჩაზე).

III.მშენებლობის ხანგრძლივობა

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ. N 4-ში შპს „ჯეომილი“-ს კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85-ის „ მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „მშენებლობის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის“ საფუძველზე , ტერიტორიის სეისმიურობის კოეფიციენტის (1.15), სამუშაოთა სპეციფიურობის და შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს 90 დღეს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებიდან.

მათ შორის:

I მონაკვეთზე (ჭირნახულის ქუჩაზე) სამუშაოების ხანგრძლივობა-15 დღე.

II მონაკვეთზე (ჭირნახულის ქუჩაზე) სამუშაოების ხანგრძლივობა-15 დღე.

III მონაკვეთზე სამუშაოების ხანგრძლივობა-60 დღე.

მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 5 დღეს.

ცალკეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა მოცემულია „მშენებლობის კალენდარულ გრაფიკ“ -ში.

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები

მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება ორ რიგად:

მშენებლობის პირველი რიგი - მოსამზადებელი სამუშაოები.

მშენებლობის მეორე რიგი - ძირითადი სამუშაოები.

ძირითადი სამუშაოები ხორციელდება სამ ცალკეულ, თანმიმდევრობით მონაკვეთად:

I მონაკვეთი- პკ 0+00-დან ჭირნახულის ქუჩის შუა ღერძამდე, სიგრძით 6 მ.

II მონაკვეთი- ჭირნახულის ქუჩის შუა ღერძიდან ამავე ქუჩის მარჯვენა გვერდულამდე(ტროტუარამდე), სიგრძით 6 მ.

III მონაკვეთი- ჭირნახულის ქუჩის მარჯვენა გვერდულიდან პკ 0+47,54-მდე, სიგრძით 35,54 მ.

ჭირნახულის ქუჩის გადაკვეთისას ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება ორ მონაკვეთად

I მონაკვეთი- პკ 0+00-დან ჭირნახულის ქუჩის შუა ღერძამდე, სიგრძით 6 მ.

II მონაკვეთი- ჭირნახულის ქუჩის შუა ღერძიდან- ამავე ქუჩის მარჯვენა გვერდულამდე(ტროტუარამდე).

ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები სულ მოიცავს სამუშაოთა წარმოების 10 ეტაპს, მათ შორის:

მშენებლობის პირველი რიგი- მოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს სამუშაოთა 2 ეტაპს, ხოლო მშენებლობის მეორე რიგი -ძირითადი სამუშაოები მოიცავს სამუშაოთა 8 ეტაპს.

მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპებია(2ეტაპი):

I ეტაპი:

- დროებითი ღობის მოწყობა I მონაკვეთზე.
- დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა. მასალების დასაწყობება.
-დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.
-გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

II ეტაპი:

- ლიანდაგის ტრასის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.
-

ძირითად სამუშაოებს მიეკუთვნება ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება ცალკეულ მონაკვეთებად, შემდეგ ძირითად სამშენებლო ეტაპებად (8 ეტაპი):

I მონაკვეთი (3 ეტაპი):

შირითადი სამუშაოები:

I ეტაპი- ძველი ასფალტის აყრა და გატანა

II ეტაპი- მიწის ვაკისის მოწყობა.

III ეტაპი- ლიანდაგის დაგება და დაბალასტება. ასფალტის მოწყობა.

II მონაკვეთი(3 ეტაპი):

I ეტაპი-შემოღობვა. ასფალტის აყრა და გატანა.
II - მიწის ვაკისის მოწყობა.
III - ლიანდაგის დაგება და დაბალასტება. ასფალტის მოწყობა.

III მონაკვეთი(2 ეტაპი):
I ეტაპი-მიწის ვაკისის მოწყობა.
II ეტაპი- ლიანდაგის დაგება და დაბალასტება. მისაბრჯენის მოწყობა. ჩამგდები კალმის მოწყობა.

ცალკეული სამშენებლო რიგებისა და ეტაპების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „მშენებლობის კალენდარულ გრაფიკ“-ში .

რკინიგზის ლიანდაგის მიერ ჭირნახულის ქუჩის(საავტომობილო გზის) გადაკვეთისას ხდება საზოგადოებრივი სივრცით სარგებლობა, კერძოდ:
I მონაკვეთის სამუშაოების წარმოებისას ხდება ჭირნახულის ქუჩის(საავტომობილო გზის) სიგანის პირველი ნახევრის (პკ 0+00-დან ქუჩის შუა ღერძამდე) გადაკეტვა, ხანრძლივობით 15 დღე. ამ დროს ავტომობილები მოძრაობენ ქუჩის(საავტომობილო გზის) სიგანის მეორე ნახევარზე.
II მონაკვეთის სამუშაოების წარმოებისას ხდება ჭირნახულის ქუჩის(საავტომობილო გზის) სიგანის მეორე ნახევრის (გზის შუა ღერძიდან- გზის მარჯვენა გვერდულამდე(ტროტუარამდე) გადაკეტვა, ხანგრძლივობით 15 დღე. ამ დროს ავტომობილები მოძრაობენ ქუჩის (გზის) სიგანის პირველ ნახევარზე.
სულ ჭირნახულის ქუჩის(საავტომობილო გზის) გადაკვეთისას საზოგადოებრივი სივრცით სარგებლობის ხანგრძლივობა შეადგენს 30 დღეს.

საზოგადოებრივი სივრცით სარგებლობისას ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს ღამის საათებში, ქ. თბილისის მერიის სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ.

V. სამუშაოთა წარმოების ძირითადი მეთოდები

ა) მიწის სამუშაოები

სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტებულ უნდა იქნას შესაძლო გამავალი მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების განლაგება, რისთვისაც ობიექტზე გამოძახებული უნდა იქნას საინჟინრო ქსელების მფლობელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთი ქსელების არსებობის შემთხვევაში მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში მოხდეს ამ ქსელების დემონტაჟი და გადატანა.

ცალკეულ მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ხდება :

- სამშენებლო მოედნის შემოღობვა დროებითი საჩეხიანი ღობით.
- ლიანდაგის ზედნაშენის მასალების (რელსი, განძელი,სამაგრისები) წინასწარი დასაწყობება ცალკეულ სამუშაო უბანთან.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ცალკეული მონაკვეთების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

I და II მონაკვეთებზე :

- ასფალტის ფენის მოჭრა და მიწის ვაკისის მოწყობა ხდება მინიბულდოზერით.
- ახალი ლიანდაგის ელემენტების მონტაჟი ხდება საავტომობილო ამწის საშუალებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

-დაბალასტება ხდება ხელით და მინიბულდოზერით.

III მონაკვეთზე :

-ახალი ლიანდაგის ელემენტების მონტაჟი ხდება საავტომობილო ამწით (სადაც შესაძლებელია ამწის გამოყენება), ხოლო ამწით მიუწვდომელ ადგილებში სამუშაოები ხორციელდება ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და მინიბულდოზერის გამოყენებით(რელსის გათრევა; შპალის მიტანა).

მოჭრილი ასფალტის გატანა სამშენებლო მოედნიდან ხდება ავტოთვითმცლელების საშუალებით. გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხდება ხელით ან მინიექსკავატორით.

ნახაზ „მო-1“-ზე ნაჩვენებია დროებითი ღობის მოწყობა I და II მონაკვეთებზე. III მონაკვეთზე დროებითი ღობის მოწყობა დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე.

ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს ტექნოლოგიური ნორმების მოთხოვნების , სნდაწ-ს უსაფრთხოების მოქმედი ნორმების და წესების მოთხოვნებისა და უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროცესში უნდა შედგეს შემდეგი აქტები:

ა. დაფარული სამუშაოების: 1) ასფალტის სამუშაოების 2) დაბალასტების სამუშაოების და სხვა.

ბ. დათვალიერების: 1) შესრულებული სამუშაოების 2) შემოტანილი მასალების და დეტალების 3) მანქანა-მექანიზმების, მცირე მექანიზაციის საშუალებების და შრომის იარაღების 4) უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულების 5) მუშათა შრომის და დასვენების პირობების და სხვა.

გ. გამოცდის: 1) ამწე მანქანა-მექანიზმების 2) სატრანსპორტო მანქანა-მექანიზმების და სხვა.

VI. მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სამუშაოების საწარმოებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1.მინიექსკავატორი „უკუ ჩამჩა“, ტევადობით -1 ცალი

2. მინიბულდოზერი - 1 ცალი

3. საავტომობილო ამწე, ტვ . 16ტნ(მაქს) - 1 ცალი

4. ავტოთვითმცლელი- 1ცალი

5 . ბორტული მანქანა- 1 ცალი

6. სპეციალიზებული ტრანსპორტი (რელსების შემოტანა)- 1 ცალი

7. მოძრავი კომპრესორი - 1 ცალი

8. მინიმტკეპნავი -1 ცალი

VII. მშენებლობის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობის სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სნდაწ -III-4-80*-ის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში"-ს მოთხოვნები, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები, ასევე ხანძარ-საწინააღმდეგო ნორმების მოთხოვნები.

სამშენებლო მოედანი უნდა შემოიღობოს დროებითი საჩეხიანი ღობით. შემოღობვა აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ნიშნებით და სიგნალებით, რომლებიც კარგად დასანახი უნდა იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული. სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.

მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებული უნდა იქნას ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის,ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტ-რუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.

მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორცი-ელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.

ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე-მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან მოსრიალების შესაძლებლობას.

ავტომანქანის ამწევი მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს , ასევე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა, თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.

სამშენებლო კონსტრუქციის ან მასალის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქანესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება.

დაუშვებელია სამუშაოთა წარმოება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილის და ნისლის დროს.

სამუშაოთა შეწყვეტისას კონსტრუქციის ელემენტების და დანადგარების დატოვება დაკიდებულ მდგომარეობაში აკრძალულია.

სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის რადიუსი შეადგენს 3,0 მეტრს (იხილეთ ნახაზი „მო-1“). სახიფათო ზონა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით და მოექცეს სამშენებლო მოედნის დროებითი ღობის შიგნით. იმ ადგილებში, სადაც არ ხერხდება სახიფათო ზონების შემოღობვა, მოეწყოს ამ ზონების აღმნიშვნელი ნიშნები და სიგნალები და შემოისაზღვროს დროებითი ლენტით(გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე).

აკრძალულია უცხო პირთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და განსაკუთრებით სახიფათო ზონის ფარგლებში.

სამშენებლო მოედანზე წარმოშობილი ყველა სახიფათო ზონა უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებითა და სიგნალებით და შემოღობილ იქნას.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტებულ იქნას შესაძლო მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების ადგილები მათ მფლობელ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად.

აკრძალულია სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს (დამცავი ზონის ფარგლებში- 20 მ) და ასევე სხვა ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები-განწესის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ამ ხაზის მფლობელი ორგანიზაცია.

მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკებს სისტემატურად უნდა ჩაუტარდეთ სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აკრძალულია მათი დაშვება სამუშაოებზე ამ სწავლებებისა და ინსტრუქტაჟის გავლის გარეშე.

აკრძალულია სამშენებლო მოედანზე ადამიანთა ყოფნა დამცავი ჩაფხუტის გარეშე.

სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ჩაფხუტი; რეზინის ფეხსაცმელები და ხელთათ-მანები; უსაფრთხოების ქამარი; დამცავი სათვალე და სხვა).

სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებაზე ობიექტზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი. მხოლოდ მათი უშუალო ზედამხედველობით უნდა წარმოებდეს სამუშაოები.

ყველა მუშა უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში გადაადგილებას და ყოფნას.

სამშენებლო მოედანზე მიღებულ იქნას ზომები გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად.

სამშენებლო ობიექტზე მომუშავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით (დროებითი შენობების ჩამონათვალი იხილეთ ნახაზ „მო-1“ -ზე)). მათი განლაგების ადგილი დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე.

გარემოს დაცვა:

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია გარემოს დაცვა დაბინძურებისგან და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

სამშენებლო მოედნიდან გამომავალი ყველა ავტომანქანის და მექანიზმის სავალი ნაწილი უნდა გაირეცხოს წყლით.

სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ძარაგადაფარებული ავტომანქანებით.

ამტვერებადი მასალები უნდა დამუშავდეს სველი მეთოდით.

ბ. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი


ქ.თბილისში, ჭირნახულის ქუჩა №4-ში შპს „ჯეომილი"-ს კუთვნილი რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქცია

მშენებლობის ხანგრძლივობა- 90 დღე

№	სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (დღე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
	I. მოსამზადებელი სამუშაოები (2 ეტაპი):				
1	დროებითი ღობის მოწყობა პირველ მონაკვეთზე.	4			
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.	4			
3	სასაწყობო მოედნების მოწყობა.მასალების დასაწყობება.	4			
4	გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.	2			
5	გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.	1			
	II. ძირითადი სამუშაოები (8 ეტაპი):				
	I მონაკვეთი (3 ეტაპი):				
6	ასფალტის აყრა და გატანა.	5			
7	მიწის ვაკისის მოწყობა	2			
8	ლიანდაგის დაგება და დაბალასტება. ასფალტის მოწყობა.	8			
	II მონაკვეთი (3 ეტაპი):				
9	შემოღობვა. ასფალტის აყრა და გატანა	5			
10	მიწის ვაკისის მოწყობა	2			
11	ლიანდაგის დაგება და დაბალასტება.ასფალტის მოწყობა.	8			
	III მონაკვეთი (2 ეტაპი):				
12	მიწის ვაკისის მოწყობა	12			
13	ლიანდაგის დაგება და დაბალასტება.მისაბრჯენის მოწყობა. ჩამგდები ჯალმის მოწყობა.	48			

შეადგინა: ტ.სტურუა

I მონაკვეთის სამშენებლო გენგეგმა



საპროექტო ექსპლიკაცია:

① - 01 საპროექტო მისასვლელი ღიანდაგის I მონაკვეთი, L=6მ

② - 01 საპროექტო მისასვლელი ღიანდაგის II მონაკვეთი, L=6მ

③ - 01 საპირობითი აღნიშვნები

საპროექტო მისასვლელი ღიანდაგის I მონაკვეთი

საპროექტო მისასვლელი ღიანდაგის II მონაკვეთი


საპროექტო მისასვლელი ღიანდაგის III მონაკვეთი

დროებითი სახაწყობო და მოედანი

დროებითი ღობე

საავტომობილო ამწე, ტვ.16ტნ


II და III მონაკვეთების სამშენებლო გენგეგმა



II მონაკვეთზე სამუშაოთა ხანგრძლივობა- 15 დღე
III მონაკვეთზე სამუშაოთა ხანგრძლივობა- 60 დღე

სამუშაოთა წარმოების მეთოდები იხილეთ განმარტებით ბარათში.

ღიანდაგის რელსის სამონტაჟო სქემა



დროებითი შენობა-ნაგებობების განლაგების ადგილი (მონაკვეთების მიხედვით) საბოლოოდ დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე.

დროებითი შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი

I სამუშაოთა მწარმოებლის ოფისი

II საყოფაცხოვრებო შენობა

III სასადილო

IV საპირფარეშო

V სახანძრო დაფა

VI ღია სასაწყობო მოედანი

VII დროებითი ღობე

ჰორნახულის ქუჩის გადაკვეთისას მისასვლელი ღიანდაგის მოწყობა ხდება ორ მონაკვეთად:

I მონაკვეთი - პკ 0+00-დან ჰორნახულის ქუჩის შუა ღერძამდე.
II მონაკვეთი - ჰორნახულის ქუჩის შუა ღერძიდან -ქუჩის მარჯვენა გვერდულამდე.

სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა - 30 დღე.

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი "მო-1" იხილეთ განმარტებით ბარათთან და კალენდარულ გრაფიკთან ერთად.
2. სამშენებლო გენგეგმა დამუშავებულია ცალკეული მონაკვეთების მიხედვით,პროექტის მასალების საფუძველზე.
3. 01 მისასვლელი ღიანდაგის მოწყობის (რეკონსტრუქციის) სამუშაოები ხორციელდება სამ ძირითად მონაკვეთად:

I მონაკვეთი - პკ 0+00-დან ჰორნახულის ქუჩის შუა ღერძამდე.
II მონაკვეთი - ჰორნახულის ქუჩის შუა ღერძიდან -ქუჩის მარჯვენა გვერდულამდე.
III მონაკვეთი - ქუჩის მარჯვენა გვერდულიდან - პკ 0+47,54-მდე.

შპს "სტუგრუპი"	ქ.თბილისში, ჰორნახულის ქუჩა №4-ში შპს „ჯეომილი"-ს კუთვნილი რკინიგზის ღიანდაგის ადდგენა-რეკონსტრუქცია				
დირექტორი	ტ.სტურუა		მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
კომპ.დამუშავება	გ.ცუცქირიძე		სამშენებლო გენგეგმა. სამონტაჟო სქემა	ფურც	სულ
				„მო-1"	1
				მ1:700	